არასამეწარმეო /არაკომერციული/ იურიდიული პირი
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
,,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება"

11 იანვარი 2024 წელი

N251

ა.(ა).ი.პ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების" 2023 წლის წლიური ანგარიში

ა.(ა).ი.პ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება" წარმოგიდგენთ 2023 წლის ანგარიშსს :

2023 წელს ა.(ა).ი.პ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების" ბიუჯეტი შეადგენს - 4 328 000 (ოთხი მილიონ სამასოცდარვა ათასი) ლარს, წლის განმავლობაში შრომის ანაზღაურებაზე დაიხარჯა - 2867477 (ორი მილიონ რვაასსამოცდაშვიდი ათას ოთხასსამოცდაშვიდმეტი) ლარი. საკვებ პროდუქტებზე გაიხარჯა - 608914 (ექვსასრვა ათას ცხრაასთოთხმეტი) ლარი, ხოლო კომუნალურ და საოფისე ხარჯებზე გახარჯულია 638739 (ექვსასოცდათვრამეტი ათას შვიდასოცდაცხრამეტი)ლარი.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება"-ს, მასში შემავალი საბავშვო ბაღებისთვის შესყიდული ქონდა საკანცელარიო ნივთები, რომელთა ბაღებისთვის გადაცემა წლის განმავლობაში ხდებოდა ეტაპობრივად. საბავშვო ბაღების მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება მოხდა საკანცელარიო ნივთებით.

2023 წლის 19 აპრილს გიორგეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარდა „პასკის ფესტივალი", სადაც მონაწილეობა მიიღო 8(რვა) საბავშვო ბაღმა (გიორგეთი, აფენი, ჭაბუკიანი, გვიმრიანი, ბაღდადი, ლელიანის N1 და N2 და არეშფერანი). ბაღემბა წარმოადგინეს როგორც ხელნაკეთი ნივთები ასევე პასკები.

2023 წლის მაისის თვეში გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ დაორგანიზდა ტრენინგი აღმზრდელ-მასწავლებლებისთვის თემაზე: "კატასტროფებისა და ქცევის წესების შესახებ", რომელიც ა.(ა).ი.პ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება"-ში შემავალი 7 ბაღის, 10-მა აღმზრდელ-მასწავლებელმა გაიარა.

2023 წლის მაისი-ივნისის თვეში ა.(ა).ი.პ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“-ში შემავალ 29 საბავშვო ბაღში, სასკოლო მზაობის ჯგუფების აღსაზრდელთა მონაწილეობით თემატური ღონისძიებები გაიმართა. აღნიშნული ღონისძიებები ჩატარდა თანამედროვე მეთოდით, რომელიც მოიცავს აღსაზრდელთა მიერ სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნის საინტერესო და მრავალფეროვანი აქტივობებით წარმოჩენას.

სასკოლო ასაკის 470 აღსაზრდელს ბაღის დამთავრებასთან დაკავშირებით გამოსაშვებ ღონისძიებებზე სასკოლო ნივთები გადაეცათ, რომლის შეძენა მოხდა ა.(ა).ი.პ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“-ის მიერ და რომლის ღირებულებამ შეადგინა 13442 (ცამეტიათას ოთხასორმოცდაორი) ლარი.

2023 წელს ა.(ა).ი.პ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“-ში შემავალ საბავშვო ბაღებში დაიწყო თვითშეფასების ეტაპი, რაც ავტორიზაციის პროცესისთვის აუცილებელი პირობაა. მუნიციპალიტეტში არსებულმა 31 საბავშვო ბაღმა გაიარა ეს პროცესი. ამავე თემასთან დაკავშირებით 20-21 სექტემბერს ქალაქ თბილისში სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინიციატივით, ბაღების დიაგნოსტიკური თვითშეფასების ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარდა ორგანიზებული შეხვედრა გაერთიანებების ხელმძღვანელებთან, რომელსაც დაესწრო ა.(ა).ი.პ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი.

2023 წლის აგვისტოს თვეში ა.(ა).ი.პ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“-ში მიმდინარეობდა განცხადებების მიღება ბავშვთა ბაღებში ჩარიცხვასთან დაკავშირებით.
18 სექტემბერს მუნიციპალიტეტში არსებულმა ბაღებმა განაახლა მუშაობა და ჯამში წლის ბოლოსთვის აღსაზრდელთა ჯამურმა რაოდენობამ შეადგინა 1370 ბავშვი.

2023 წლის 28 სექტემბერს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში არსებული ბაღების აღმზრდელები ლაგოდეხის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრის ოფისში გაეცნენ მაკ ჯორჯიას წარმომადგენლების მიერ ორგანიზებულ პლატფორმა „შეაღე“-ს.

2023 წლის ოქტომბრის თვეში აფენის ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარდა აფენობის დღესასწაული, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აფენის, ჭაბუკიანის, გვიმრიანისა და ბაღდადის საბავშვო ბაღებმა.
2023 წლის ოქტომბრის თვეში მუნიციპალიტეტში აღინიშნა ჰერეთობის დღესასწაული, სადაც მონაწილეობა მიიღო 31 საბავშვო ბაღმა. ბაღებს წარმოდგენილი ქონდათ ხელნაკეთი ნივთები, და შესაბამისი კუთხისთვის დამახასიათებელი სამზარეულო.

ა.(ა).ი.პ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში“ შემავალი საბავშვო ბაღებიდან მიმდინარეობდა ჭიაურისა და ჭაბუკიანის საბავშვო ბაღების მშენებლობა. ჭაბუკიანის საბავშვო ბაღის გახსნა მოხდა დეკემბრის თვეში. ბაღი გათვლილია 100 აღსაზრდელზე და მისი თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვა მოხდა

გაერთიანების მიერ. კერძოდ ავეჯის შესაძენად გაიხარჯა 43900 ლარი, ხოლო რბილი ქსოვილის შესაძენად 15900 ლარი. ასევე მოხდა ჭურჭლისა და სათამაშოების შეძენა, ჭურჭელი გათვლილია ჭაბუკიანის საბავშვო ბაღისთვის, ხოლო სათამაშოები განაწილდა სხვა ბაღებშიც.

2023 წლის მეორე ნახევარში დაიწყო 6 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა, 5 საბავშვო ბაღი,რომელიც შენდება სოფელ მსხალგორში, ჩადუნიანში, გვიმრიანში, ბაღდადში და არეშფერანში გათვლილია 50 ბავშვზე, ხოლო ერთი საბავშვო ბაღი, რომელიც შენდება სოფელ განჯალაში, გათვლილია- 150 ბავშვზე.

წლის ბოლოს საახალწლო ღონისძიებები ჩატარდა გაერთიანებაში შემავალ სააბვშვო ბაღებში. პატარებმა ზღაპრის გმირებთან ერთად მუსიკალური და საცეკვაო ნომრები შეასრულეს. ფორმა და შინაარსი შეირჩა ბავშვების ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებით, რათა აღსაზრდელებმა საკუთარი ნიჭი და სურვილები თავისუფალ გარემოში წარმოაჩინონ. ყველა აღსაზრდელემა ღონისძიებებზე მიიღო საახალწლო საჩუქრები.

ღონისძიებებზე მუსიკალური აქტივობების ჩასატარებლად და წლის განმავლობაში აღსაზრდელების განვითარებაზე ზრუნვისათვის გაერთიანების მიერ შეძენილი იქნა მუსიკალური დინამიკები რომლებიც საჭიროებისამებრ გადაეცა ბაღებს.

ა.(ა).ი.პ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის

„სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი: მარიამ გოგოლაძე

ქ.ლაგოდეხი 2700. 26 მაისის ქ. №25

ტელ: 595002718

lag.bagebi@gmail.com